

მოწვევა სოციალური რეკლამის რგოლების შესაქმნელად

ევროპის ფონდი იწვევს კვალიფიციურ ორგანიზაციებსა და ინდივიდებს, მონაწილეობა მიიღონ ტენდერში სოციალური რეკლამის ვიდეო და აუდიო რგოლების შესაქმნელად. ტენდერი ცხადდება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ორი პროექტის: 1) „თანამშრომლობა ბიუჯეტის გამჭვირვალობისთვის: სახელმწიფო ხარჯების სამოქალაქო მონიტორინგი საქართველოში“ და 2) „ეკომიგრანტი და პოტენციური ეკომიგრანტი ოჯახების ადვოკატირების კამპანია“ ფარგლებში (დეტალური ინფორმაცია პროექტების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ევროპის ფონდის ვებსაიტზე: www.epfound.ge).

ევროპის ფონდის შესახებ

ევროპის ფონდის მისიაა, პრაქტიკული პროგრამების განხორციელებით, საშუალება მისცეს მოქალაქეებს, თავიანთი წვლილი შეიტანონ სოციალური სამართლიანობის დამკვიდრებასა და ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდაში, რათა გაუმჯობესდეს მათი და მათ გარშემომყოფთა ცხოვრება. მიზნობრივი პროგრამების მხარდაჭერის და საგრანტო კონკურსების გზით, ევროპის ფონდი მიმდინარე სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ მოვლენებში მოქალაქეთა აქტიურ თანამონაწილეობას უზრუნველყოფს, რაც ადგილობრივ, რეგიონულ თუ ეროვნულ დონეზე პოზიტიურ ცვლილებებს უწყობს ხელს.

ევროპის ფონდი 2008 წლის თებერვალში დაფუძნდა როგორც ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია. ფონდის მანდატები და მიდგომები მოიცავს ისეთ მიმართულებებს, როგორცაა: სამოქალაქო მონიტორინგი, კორპორატიული და საზოგადოებრივი ფილანტროპია, მტკიცებულებებზე დაფუძნებული ადვოკატირება და საჯარო პოლიტიკის შემუშავება, საზღვრისპირა და თემთაშორისი თანამშრომლობა, გენდერის ინტეგრაცია პროგრამებში, ახალგაზრდების ინტეგრაცია, სექტორებს შორის თანამშრომლობა და ღია კარი.

მანდატებისა და მიდგომების ფარგლებში, ევროპის ფონდი შემდეგ პროგრამებს ახორციელებს: თანამონაწილეობა და მონიტორინგი ცვლილებებისთვის, ახალგაზრდული ინტეგრაცია, ევროპული ინტეგრაცია, სოციალური მეწარმეობის განვითარება და ღია კარის საგრანტო პროგრამა.

ფონდის დონორებისა და პარტნიორების რიცხვში არიან ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში (EU), შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო (Sida) და ა.შ. ევროპის ფონდი ევრაზიის ფონდის ქსელის წევრია, რომელიც აღმოსავლეთ ევროპაში, სამხრეთ კავკასიაში, რუსეთში, ცენტრალურ აზიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედ რვა დამოუკიდებელ ფონდს აერთიანებს.

ტენდერის მიზანი

ტენდერის მიზანია სოციალური რეკლამების ვიდეო და აუდიო რგოლების შექმნა ევროპის ფონდის ორი პროექტის 1) „თანამშრომლობა ბიუჯეტის გამჭვირვალობისთვის: სახელმწიფო ხარჯების სამოქალაქო მონიტორინგი საქართველოში“ და 2) „ეკომიგრანტი და პოტენციური ეკომიგრანტი ოჯახების ადვოკატირების კამპანია“ ფარგლებში. თითოეული

პროექტის შესახებ ინფორმაცია და სოციალური რეკლამის მიზნები დეტალურად არის წარმოდგენილი განაცხადში.

პროექტი #1: „თანამშრომლობა ბიუჯეტის გამჭვირვალობისთვის: სახელმწიფო ხარჯების სამოქალაქო მონიტორინგი საქართველოში“

პრობლემების აღწერა

საჯარო ფინანსების მართვის სისტემასთან დაკავშირებულ საკითხებზე მოქალაქეთა არასათანადო ინფორმირებულობის პირობებში, საზოგადოება ვერ იღებს აქტიურ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ვერ სარგებლობს აღნიშნულ სფეროში მონიტორინგისა და ადვოკატირების განხორციელების შესაძლებლობებით.

აღნიშნულ სიტუაციას ამძაფრებს მონიტორინგის ქმედითი მექანიზმებისა და ამ მიმართულებით საჯარო მოხელეებსა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შორის სისტემური დიალოგის ფორმატის არარსებობა. შედეგად, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩართულობა და საბიუჯეტო ხარჯების მონიტორინგი ცენტრალურ, თუ ადგილობრივ დონეზე საკმაოდ შეზღუდულია (დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ: <http://www.epfound.ge/georgian/mimdinare-programebi/tanamshromloba-biujetis-gamchvirvalobistvis.html>)

ვიდეორგოლის მიზანი და ამოცანები

სოციალური რეკლამის მიზანია საქართველოში საჯარო ფინანსების ხარჯვისა და საბიუჯეტო სახსრების მართვის მხრივ არსებული პრობლემების, აგრეთვე, ამ სფეროში საზოგადოებრივი ზედამხედველობის მექანიზმების შესახებ მოქალაქეთა ინფორმირებულობის დონის ამაღლება.

ტენდერის ფარგლებში უნდა მომზადდეს **2 სხვადასხვა შინაარსის სარეკლამო რგოლი**. ტენდერის გამარჯვებულებმა უნდა მოამზადონ სოციალური რეკლამის ვიდეო და აუდიო რგოლები, როგორც ვრცელი (30 წამი), ასევე, მოკლე (15 წამი) ვერსიების სახით, ტელე და რადიომაუწყებლობისათვის.

სარეკლამო რგოლები შემდეგ ამოცანებს ისახავს მიზნად:

- მოქალაქეთა ინფორმირება საჯარო ფინანსების ხარჯვასთან დაკავშირებულ პრობლემებზე
- მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება საბიუჯეტო სახსრების მართვის მონიტორინგის მექანიზმების შესახებ
- საჯარო ფინანსების მართვის სფეროში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა

პროექტი #2: ეკომიგრანტი და პოტენციური ეკომიგრანტი ოჯახების ადვოკატირების კამპანია“

პრობლემების აღწერა

სტიქიით დაზარალებული და განსახლებას დაქვემდებარებული პირები - ეკომიგრანტები (მათ შორის პოტენციური ეკომიგრანტები) ერთ-ერთი მოწყვლადი ჯგუფია, რომელთა სტატუსი, ეკონომიკური თუ საცხოვრებელი პირობები ხშირ შემთხვევაში არ აკმაყოფილებს ადამიანის უფლებების დაცვის ზოგად მოთხოვნებსაც კი. შესაბამისად, ამ

კონკრეტული ჯგუფის წარმომადგენელთა უმრავლესობა ყოველდღიურად აწყდება პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული თუ რელიგიური სახის გამოწვევებს, რაც საჭიროებს დახმარებას და არსებული მდგომარეობის შემსუბუქებას.

პროექტი მიზნად ისახავს ეკომიგრანტებისა და პოტენციური ეკომიგრანტების წინაშე არსებული პრობლემების გამოვლენას, მოგვარების გზების განსაზღვრას, საკუთარი უფლებების დაცვისთვის საჭირო უნარ-ჩვევებით აღჭურვასა და ორგანიზაციული/ინსტიტუციური გაძლიერებას ეკომიგრანტების მიერ საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩამოყალიბების გზით, განსახლების დროს ადგილობრივ საზოგადოებასთან ინტეგრაციის ხელშეწყობას, ეკომიგრაციის საჯარო პოლიტიკის განსაზღვრაში მონაწილეობასა და ცენტრალური გადაწყვეტილების მიმღებების დონეზე ადვოკატირებას (დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ:

<http://www.epfound.ge/georgian/mimdinare-programebi/ekomigranti-da-potenciuri-ekomigranti-ojakhebis-advokati-rebis-kampania.html>)

ვიდეორგოლის მიზანი და ამოცანები

სოციალური რეკლამის მიზანია საქართველოში სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების განსახლების კრიტერიუმების შესახებ მოქალაქეთა ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება.

ტენდერის ფარგლებში უნდა მომზადდეს **1 სარეკლამო რგოლი**. ტენდერის გამარჯვებულმა უნდა მოამზადოს სოციალური რეკლამის ვიდეო და აუდიო რგოლები, როგორც ვრცელი (30 წამი), ასევე, მოკლე (15 წამი) ვერსიების სახით, ტელე და რადიომაუწყებლობისათვის.

სარეკლამო რგოლები შემდეგ ამოცანებს ისახავს მიზნად:

- მოქალაქეთა ინფორმირება ეკომიგრანტი და პოტენციური ეკომიგრანტი ოჯახების პრობლემებისა და საჭიროებების შესახებ
- მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება ეკომიგრაციის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გამოწვევების შესახებ
- ეკომიგრანტი და პოტენციური მიგრანტი ოჯახების ჩართულობის გაზრდა საკუთარი უფლებების დაცვისა და ადვოკატირების პროცესში

ვის შეუძლია ტენდერში მონაწილეობა

ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ კვალიფიციურ ორგანიზაციებსა და ინდივიდებს, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი გამოცდილება.

დაფინანსება

ტენდერის საერთო ბიუჯეტი ორივე პროექტის ვიდეო და აუდიო რგოლებისათვის არ უნდა აღემატებოდეს 11,100 ლარს (ყველა გადასახადის ჩათვლით).

შესაძლებელია განაცხადი წარმოდგენილ იქნეს როგორც ორივე პროექტის სოციალური რეკლამების შესაქმნელად, ასევე, მხოლოდ ერთი პროექტის ვიდეო რგოლ(ებ)ისთვის. შესაბამისად, გამარჯვებულად შეიძლება გამოვლინდეს მაქსიმუმ ორი განაცხადი¹.

¹ ფონდი უფლებას იტოვებს არ შეარჩიოს არცერთი განაცხადი იმ შემთხვევაში, თუკი წარმოდგენილი განაცხადებიდან სათანადოდ არცერთი დააკმაყოფილებს შერჩევის კრიტერიუმებს.

განაცხადის წარდგენის პროცედურა

ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ორგანიზაციამ/პირმა უნდა წარმოადგინოს:

1. სოციალური სარეკლამო რგოლ(ებ)ის წინასწარი სცენარი;
2. რგოლ(ებ)ის დამზადების ვადები;
3. იმ პირთა ბიოგრაფიები, რომლებიც ჩართული იქნებიან სარეკლამო რგოლების მომზადებაში;
4. ამ პირთა მიერ მომზადებული მინიმუმ 2 სოციალური რეკლამის ნიმუში;
5. საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო ბიუჯეტი.

სატენდერო განაცხადი წარდგენილ უნდა იქნას ქართულ ან ინგლისურ ენაზე ევროპის ფონდის ოფისში, ან გაიგზავნოს ელექტრონულ ფოსტის შემდეგ მისამართზე: mrobitashvili@epfound.ge. გთხოვთ, წერილის სათაურის ველში მიუთითოთ: **PEM_ECO_PSA**. თქვენი განაცხადის მიღებას აუცილებლად დაგიდასტურებთ. თუ აღნიშნული დადასტურება არ მოგივიდათ ელექტრონულ ფოსტაზე, გთხოვთ დამატებით დაუკავშირდეთ **მარიამ რობიტაშვილს**, პროგრამის ასისტენტს.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ წარდგენილი ყველა მასალა და დოკუმენტი რჩება ევროპის ფონდის განკარგულებაში. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას ფონდი გამოიყენებს მხოლოდ განხილვის მიზნით და არ მიაწვდის ამ ინფორმაციას გარეშე პირებს ან ორგანიზაციებს, იმათ გარდა, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით ან მოთხოვნილია ევროპის ფონდის დამფინანსებლების მიერ.

შერჩევის პროცესი და კრიტერიუმები

სატენდერო განაცხადებს ევროპის ფონდის მენეჯმენტი, პროგრამის თანამშრომლები და, საჭიროების შემთხვევაში, კონსულტანტები განიხილავენ.

განხილვის პროცესში განმცხადებელს შესაძლოა მოეთხოვოს დამატებითი ინფორმაციის წარდგენა 3 სამუშაო დღის ვადაში.

სატენდერო განაცხადების შესაფასებლად შემდეგი კრიტერიუმები გამოიყენება:

- შემოთავაზებული სცენარების შესაბამისობა ტენდერის მიზანთან და ამოცანებთან;
- განმცხადებლების გამოცდილება სოციალური რეკლამების მომზადებაში;
- დაგეგმილი სამუშაოს განხორციელების ვადების სიმჭიდროვე;
- ბიუჯეტის კონკურენტუნარიანობა.

საკონტაქტო ინფორმაცია

ევროპის ფონდი, კავსადის ქ. 3, მე-2 სართული, ტელ.: 225 39 42/43.

საკონტაქტო პირები: ვიქტორ ბარამია, პროგრამის უფროსი მენეჯერი (vbaramia@epfound.ge) და ნათია ბერძენიშვილი, პროგრამის მენეჯერი (nberdzenishvili@epfound.ge).

განრიგი

ტენდერის გამოცხადება: 2016 წლის 30 მარტი

განაცხადების წარდგენის ბოლო ვადა: 2016 წლის 18 აპრილი, 18:00 საათი.

ტენდერის შედეგების შესახებ წერილობითი პასუხის მიღება: არაუგვიანეს 2016 წლის 28 აპრილისა.